

ზვინად გაგისონია

საბანკო სამართალი

**მე-2 გადამუშავებული და განვრცობილი
გამოცემა**



თბილისის ღია უნივერსიტეტი

**თბილისი, 2017
გამომცემლობა „იურისტების საფარო“**



ZVIAD GABISONIA

BANKRECHT

2. Überarbeitete Auflage



TBILISI OPEN UNIVERSITY

**Verlag "World of Lawyers"
Tbilisi, 2017**



ნიგნი წარმოადგენს საბანკო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს, მასში შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით, გაანალიზებულია საბანკო სამართლის ცალკეული ინსტიტუტები და შედარებულია ქართულ საბანკო კანონმდებლობასთან. ნაშრომი შედგენილია ევროპული უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებისა და სტუდენტებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოების შესაბამისად და ძირითადად მოიცავს მათში შემავალ ყველა საკითხს.

ნიგნის პირველი გამოცემა მოხდა 2012 წელს. საქართველოს საბანკო კანონმდებლობაში განხორციელებული მასშტაბური ცვლილებების გამო, აღნიშნული ნიგნი წარმოადგენს მეორე, გადამუშავებულ და დამატებულ გამოცემას.

ნიგნი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, აგრეთვე მეცნიერ-პედაგოგების, მოსამართლეების, არბიტრების, ადვოკატებისა და სხვა პრაქტიკოსი იურისტებისათვის, აგრეთვე საბანკო სამართლის შესწავლით დაინტერესებულ სხვა პირთათვის.

რედაქტორი პროფესორი ლადო ჭანტურია

რეცენზენტები პროფესორი თედო ნინიძე
პროფესორი ზურაბ ძლიერიშვილი
პროფესორი მარიამ ცისკაძე

© ზვიად გაბისონია

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ , 2017



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

ელ-ფოსტა: Lawyers.world@yahoo.com;

ვებ-გვერდი: www.law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

ISBN 978-9941-9537-8-1

ვეძღვნი ჩემს შვილებს,
ნიკოლოზ და სავა ბაბინსონებს

შინაარსი

მეორე გამოცემის წინათქმა	9
პირველი გამოცემის წინათქმა	15
რედაქტორისაგან	19
ნაწილი 1. საბანკო სამართლის ცნება, სისტემა და წყაროები	21
თავი 1. საბანკო სამართლის ცნება და სისტემა	21
§ 1. საბანკო სამართლის ცნება და არსი	21
§ 2. საბანკო სამართლის სისტემა	26
თავი 2. საბანკო სამართლის წყაროები	29
§ 1. შიდასახელმწიფოებრივი საბანკო კანონმდებლობა	29
§ 2. საერთაშორისო ხელშეკრულებები (კონვენციები) და შეთანხმებები	43
§ 3. საბანკო წეს-ჩვეულებები; ტრადიციები	49
§ 4. სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკა	50
ნაწილი 2. საბანკო სამართლის ზოგადი ნაწილი	53
თავი 1. საქართველოს ეროვნული ბანკი	53
§ 1. საქართველოს ეროვნული ბანკის ცნება და მისი მმართველობა	53
§ 2. საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციები	65
§ 3. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური და მისი ფუნქციები	75

**თავი 2. კომერციული ბანკები, როგორც საბანკო
სამართლის სუბიექტები89**

§ 1. კომერციული ბანკის ცნება და ფუნქციები90

§ 2. კომერციული ბანკის დაფუძნება და მართვის
ორგანოები99

§ 3. კომერციული ბანკების საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება,
დარღვევები და სანქციები119

**თავი 3. არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები, როგორც
საბანკო სამართლის სუბიექტები133**

§ 1. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი
რეგულირება133

§ 2. არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებები - საკრედიტო
კავშირები151

**ნაწილი 3. საბანკო სამართლის განსაკუთრებული
ნაწილი169**

თავი 1. ანგარიშსწორების ხელშეკრულება169

§ 1. ანგარიშსწორების ხელშეკრულების არსი169

§ 2. IBAN - საბანკო ანგარიშებით ანგარიშსწორება181

§ 3. საბანკო პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორება186

თავი 2. საბანკო კრედიტის ხელშეკრულება198

§ 1. საბანკო კრედიტის არსი198

§ 2. საბანკო კრედიტის სახეები219

თავი 3. ანაბრის ხელშეკრულება232

§1. ანაბრის ხელშეკრულების არსი232

§2. ანაბრის ცალკეული სახეები	239
§3. ანაბრის სამართლებრივი რეგულირება საზღვარგარეთის ქვეყნებში	245

თავი 4. დოკუმენტური აკრედიტივის და დოკუმენტური ინკასოს ხელშეკრულებები265

§ 1. დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულება	265
§ 2. აკრედიტივის დოკუმენტური ბუნება	272
§ 3. „ზუსტი შესატყვისობის დოქტრინა“ დოკუმენტურ აკრედიტივში	286
§ 4. „ავტონომიის პრინციპი“ დოკუმენტურ აკრედიტივში	291
§ 5. დოკუმენტური ინკასოს არსი.....	296

თავი 5. საბანკო გარანტია300

§ 1. საბანკო გარანტიის ცნება	300
§ 2. საბანკო გარანტიის არააქცესორული ბუნება	308
§ 3. საბანკო გარანტიის მხარეები	310
§ 4. საბანკო გარანტიის სახეები	314
§ 5. გარანტის სამართლებრივი მდგომარეობა, მოთხოვნის წარდგენის ფორმა და მისი სამართლებრივი შედეგები	321
§ 6. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა და შეწყვეტის საფუძვლები	328

ლიტერატურა333

მეორე გამოცემის წინათქმა

საბანკო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს პირველი გამოცემის შემდეგ, ხუთმა წელმა გავლო. აღნიშნულ პერიოდში ქართულ საბანკო კანონმდებლობაში ფუნდამენტური ცვლილებები განხორციელდა.

2013 წელს საქართველოს ეროვნულ ბანკს გამოეყო სადაზღვევო ინდუსტრიის ზედამხედველობითი ფუნქცია და „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლისა და „დაზღვევის შესახებ“, საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე შეიქმნა ს.ს.ი.პ. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომელიც გახდა ანგარიშვალდებული საქართველოს მთავრობის მიმართ. სამსახური წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის სამართალმემკვიდრეს - დაზღვევის და საპენსიო სქემების ზედამხედველობის საკითხებში, მათ შორის, საერთაშორისო ასოციაციის წევრობასთან დაკავშირებული სტატუსის, უფლებებისა და მოვალეობების ნაწილში¹.

2015 წელს საქართველოს ეროვნულ ბანკს მთლიანად ჩამოსცილდა მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია - საფინანსო სექტორის საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობა. კერძოდ, 2015 წლის 10 სექტემბერს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში შევიდა მასშტაბური ხასიათის ცვლილებები და კანონში დამატებული 47¹ მუხლის მიხედვით, საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეიქმნა დამოუკიდებელი ორგანო - სააგენტო, რომელიც გამოცხადდა საფინანსო სექტორის საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილ, ერთადერთ სახელმწიფო ორგანოდ².

ვფიქრობ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება იმ პერიოდისათვის უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე მიმართული იყო საფინანსო სექტორის სახელმწიფო ზედამხედვე-

1 იხ. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის N102 დადგენილება

2 იხ. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებები 10.09.2015.

ლობის გაუმჯობესებისაკენ. სწორედ ამის გამო იყო, რომ ჯერ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოხდა ცვლილებებში ასახული კანონის მუხლების შეჩერება, ხოლო მოგვიანებით, 2017 წლის 10 მარტს საქართველოს პარლამენტმა, ახალი ცვლილებებით მთლიანად გააუქმა 2015 წლის 10 სექტემბრის ცვლილებები, ასევე გააუქმა სააგენტოს მარეგულირებელი ნორმები და საფინანსო სექტორის საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილ, ერთადერთ სახელმწიფო ორგანოდ კვლავ საქართველოს ეროვნული ბანკი გამოაცხადა³.

2013 წელს დაწყებულმა აშშ დოლარის მსოფლიო ბაზარზე გამყარების ტენდენციამ და ქართული ეკონომიკის სისუსტემ განაპირობა ქართული ლარის ინფლაციური პროცესების დაწყება. ინფლაციის პირველ ტალღას შემდგომ წლებში მოჰყვა მეორე და მესამე ტალღა, რამაც ქართული ლარის გაუფასურება პრაქტიკულად ისტორიულ რეკორდებამდე მიიყვანა. სწორედ აღნიშნულის გამოძახილი იყო საქართველოს მთავრობის მიერ ეროვნულ ბანკთან ერთად შემუშავებული ე.წ. „ლარიზაციის ღონისძიებები“. საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით და მთავრობის მხარდაჭერით, შემუშავებულ იქნა ქართული ლარის გამყარებისათვის აუცილებელი პროგრამა, რომელიც მოიცავდა რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს: ლარის გრძელვადიანი სესხების ხელმისაწვდომობის ზრდა, სავალუტო რისკების ადეკვატური გადანაწილება და ლარით ფასდადება⁴.

3 იხ. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებები 10.03.2017.

4 ლარის გრძელვადიანი სესხების ხელმისაწვდომობის ზრდა
1. კომერციულ ბანკებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ლიკვიდური აქტივები, მოკლევადიანი დეპოზიტების გრძელვადიან სესხებად გადასაქცევად. ეროვნული ბანკი გეგმავს გაზარდოს გადაცემის მექანიზმის მოქნილობა და გააფართოვოს გირაოს ბაზა.
2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის შესაბამისად, ეროვნული ბანკი გეგმავს, შემოიღოს, ბაზელ III-ის შესაბამისი ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი, სადაც უპირატესობა ექნება ეროვნულ ვალუტას.
3. კაპიტალის ბაზრების განვითარებისათვის აუცილებელია, კომპანიებს შეეძლოთ გრძელვადიანი ობლიგაციების გამოშვება და კაპიტალის მიღება. საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავეს ერთობლივი სტრატეგია და ერთობლივად მიმდინარეობს მისი განხორციელება.
4. კაპიტალის ბაზრის განვითარების წინაპირობაა - განვითარებული ადგილობრივი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი.

საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ, ერთობლივად მომზადდა „კაპიტალის“ ბაზრის განვითარების სტრატეგია⁵.

აღნიშნულმა ღონისძიებამ განაპირობა, საბანკო სამართ-

საქართველოს მთავრობა, ეროვნულ ბანკთან ერთად, გააგრძელებს ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმას. კერძოდ, დაიწყება :

ა) მაღალი ლიკვიდურობის მქონე ფასიანი ქაღალდების გამოშვება (ე.წ. “ბენჩ-მარკ” ქაღალდები), რომლის მთავარი მახასიათებელია მაღალი ლიკვიდობა და წინასწარ პროგნოზირებადობა. რის შედეგადაც, ბაზრის მონაწილეებს ეცოდინებათ, შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში სავარაუდო ემისიის კალენდარი.

ბ) ამუშავდება პირველადი დილერების ინსტიტუტი, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველად აუქციონზე, მონაწილე ბანკებს ექნებათ ვალდებულება, ხელი შეუწყონ მეორადი ბაზრის ლიკვიდურობას ბაზრის ყველა მონაწილისათვის.

5. საპენსიო რეფორმის განხორციელება, ერთის მხრივ, გაზრდის სოციალურ უსაფრთხოებას და ამავე დროს, ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას, რადგან გაიზრდება მოთხოვნა გრძელვადიან ინსტრუმენტებზე, რაც განაპირობებს ლარის გრძელვადიანი რესურსის ზრდას. სავალუტო რისკების ადეკვატური გადანაწილება

6. იმისათვის რომ მსესხებელი დაცული იყოს სავალუტო რისკებისაგან, იგეგმება საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის შედეგად მცირე ზომის სესხები, (100 000 ლარამდე) 2017 წლის 15 იანვრიდან გაიცემა მხოლოდ ეროვნული ვალუტით.

7. მთავრობამ, ეროვნულ ბანკთან ერთად, შეიმუშავა მექანიზმი, რომლის მიხედვითაც ხელი შეეწყობა 2015 წლის 1 იანვრამდე გაცემული სესხების გალარებას, როგორც ერთჯერადი სოციალური ღონისძიება იმ მსესხებლებისათვის, ვინც ყველაზე მეტად დაზარალდა გაცვლითი კურსის გაუფასურებით.

8. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის შესაბამისად, ეროვნული ბანკი მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების მეშვეობით უზრუნველყოფს, სავალუტო რისკისაგან დაუცველ (არაშეჯირბულ) მსესხებლებზე, უცხოური ვალუტის სესხების შემთხვევაში ადეკვატური ბუფერების არსებობას. ლარით ფასდადება

9. საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ორგანულ კანონში მზადდება ცვლილების პროექტი, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების ფასის გამოქვეყნება სავალდებულო იქნება მხოლოდ ეროვნული ვალუტით (ლარი). ამ ცვლილების ძალაში შესვლა, სავარაუდოდ 2017 წლის 1 ივლისიდან მოხდება.

10. მთავრობისა და ეროვნული ბანკის ხელშეწყობით, კომერციულ ბანკებში დაინერგება უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის დაცული მომსახურება (ე.წ. “escrow” მომსახურება), რომელიც მიზნად ისახავს უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისას საფასურის გადახდისა და ქონების დასაკუთრებასთან დაკავშირებული რისკების აცილებასა და ხარჯების შემცირებას, როგორც გამყიდველისთვის ასევე მყიდველისთვის.

აღნიშნული მომსახურება განხორციელდება საჯარო რეესტრთან თანამშრომლობით და მომხმარებლისთვის იქნება ნებაყოფლობითი. ეს სერვისი დამატებითი სტიმული იქნება - უძრავი ქონების ლარით ანგარიშსწორებისათვის.

5 იხ. კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია. 2016 წლის აპრილის ანგარიში. http://www.economy.ge/uploads/meniu_publicaciebi/ouer/kapitalis_bazris_ganvitarbis_strategia.pdf

ლისათვის მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში. ცვლილებები შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, გამოიცა რამოდენიმე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ. აღნიშნულმა ცვლილებებმა, რასაკვირველია, წინამდებარე გამოცემაში სრულად ჰპოვა ასახვა.

წინამდებარე გამოცემაში მთლიანად გადამუშავდა ნიგნის როგორც ზოგადი, ისე განსაკუთრებული ნაწილი.

ზოგად ნაწილთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის პირველი გამოცემის შემდეგ, ცვლილებები შეეხო საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციებს. ასევე, საფუძვლიანად გადამუშავდა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ფუნქციები.

წინამდებარე გამოცემას ასევე დაემატა ე.წ. „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ დანერგული ის ღონისძიებები, რაც „უკანონო შემოსავლების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. ასევე განისაზღვრა ე.წ. „საეჭვო“ და „საყურადღებო“ ზონის ცნებები და მათი კონტროლის მექანიზმები.

საფუძვლიანად გადამუშავდა აგრეთვე კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და საკრედიტო კავშირის თავები. მათშიც სრულიად ჰპოვა ასახვა იმ ცვლილებებმა და ტენდენციებმა, რაც განვლილი ხუთი წლის მანძილზე აისახა მათ სამართლებრივ რეგულაციებში.

რაც შეეხება განსაკუთრებულ ნაწილს, უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად მისი სრულიად განახლება განხორციელდა. კერძოდ, ანაბრის ხელშეკრულებას, შედარებითი სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით, დაემატა გერმანიის, აშშ და პოსტსაბჭოთა სივრცის სამართლებრივი მიდგომები - ამ საბანკო მომსახურების სახესთან მიმართებაში.

მთლიანად გადამუშავდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რადგან ზემოთ მითითებული „ლარიზაციის ღონისძიე-

ბები”, ძირითადად სწორედ საბანკო კრედიტს შეეხო და ბუნებრივია, რომ ამ ცვლილებებმა წიგნში შესაბამისი ასახვა ჰპოვა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირების საკითხი. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ წინამდებარე გამოცემაში მთლიანად მოხდა აღნიშნული ხელშეკრულების გადამუშავება.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჩემს ყოფილ დოქტორანტს, ან უკვე **დოქტორ გიორგი ამილახვარს**, დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე კვლევისას დახმარებაზე.

დოქტორ გიორგი ამილახვარის მიერ, სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი - „საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი ბუნება“⁶, ძალიან დამეხმარა იმაში, რომ დოკუმენტური აკრედიტივის ხელშეკრულება ახლებურად გამეაზრებინა და ის ძირითადი პრობლემები გამომეკვეთა, რაც თანამედროვე ქართულ საბანკო სამართალში დგას, ამ ხელშეკრულების სუსტი განვითარების გამო. განსაკუთრებით ეს შეეხება, საერთაშორისო დოკუმენტურ აკრედიტივში გამოყენებულ „აკრედიტივის დოკუმენტურ ბუნებას“, „ზუსტი შესატყვისობის დოქტრინისა“ და „ავტონომიის პრინციპებს“.

მადლობა მინდა გადავუხადო ცნობილ გერმანელ მეცნიერს, მიუნჰენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტის **პროფესორს, დოქტორ მათიას ჰაბერზაკს**, რომელიც იმავდროულად, გერმანიის საბანკო კავშირის გამგეობის წევრს წარმოადგენს. პროფ. ჰაბერზაკის უშუალო მიწვევითა და **გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD)** მხარდაჭერით, საშუალება მიქონდა 2017 წლის ზაფხულში, სამეცნიერო სტაჟირება გამეგლო ევროპის ერთ-ერთ საუკე-

6 იხ. გიორგი ამილახვარი. საერთაშორისო დოკუმენტური აკრედიტივის სამართლებრივი ბუნება. სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი. თბ., 2017 წ.

თესო უნივერსიტეტში, მიუნჰენის ლუდვიგ მაქსიმილიანეს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სწორედ პროფ. მათიას ჰაბერზაკის ფასდაუდებელმა რჩევებმა შემადღებინა, საბანკო სამართლის მეორე გამოცემაში მრავალი ინსტიტუტი ახლებურად გამეაზრებინა.

დაბოლოს, რა თქმა უნდა ჩემი გულითადი მადლობა ჩემს მასწავლებელს, ცნობილ ქართველ პროფესორს, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, **პროფ. ლადო ჭანტურიას** ჩემი წიგნების უცვლელი რედაქტორობისათვის. მისი მხარდაჭერა, ჩვენი თაობის იურისტებზე ფასდაუდებელია და მუდამ წინ გვხვდება ნებისმიერ გერმანულ უნივერსიტეტში ყოფნისას.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა წიგნის რეცენზენტებს, ცნობილ ქართველ ცივილისტს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს, **პროფ. მარიამ ცისკაძეს** და რათქმაუნდა ჩემს უახლოეს მეგობარსა და კოლეგას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს **პროფ. ზურაბ ძლიერიშვილს**, რომელიც ჩემს მიერ ამ წიგნის დაწერის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო.

ზვიად გაბისონია
მიუნჰენი, 2017 წლის აგვისტო